ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების

ფაკულტეტი

# სამაგისტრო ნაშრომი

დათო ტაბატაძე

2010–2011

სასწავლო წელი

„ნაციონალიზმის როლი და გავლენა უსაფრთხოების სექტორზე“

თემის შესავალ ნაწილში ვისაუბრებ აღნიშნული თემის  აქტუალობაზე და მისი კვლევის მნიშვნელობაზე, შემდგომ ამისა შევეცდები მოვახდინო ამ ორი ცნების ნაციონალიზმისა და უსაფრთხოების სექტორის დეფინიცია (განსაზღვრა) დავადგინო მათი საზღვრები. ასევე თემის შესავალ ნაწილში წარმოგიდგენთ ჩემს თეზისს, რომ: ნაციონალიზმი როგორც რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობისა და შინაარსის მატარებელი მოვლენა სხვადასხვა კუთხით და განსხვავებული სიძლიერით ახდენს, როგორც  დადებით, ისე  უარყოფით ზეგავლენას უსაფრთხოების სექტორზე (სისტემაზე). ეს იმაზეა დამოკიდებული თუ როგორი თვისების მატარებელია მოცემული კონკრეტული ტიპის ნაციონალიზმი გამაერთიანებელი თუ დამშლელი თვისების; როცა იგი გამაერთიანებელი თვისების მატარებელია აშკარად დადებითი გავლენა გააჩნია უსაფრთხოების სექტორზე, ხოლო დამშლელი თვისების დროს კი პირიქით ნაციონალიზმი დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოების სექტორზე.

რაც შეეხება მეთოდს – იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი თემა ეხება ორ, გარკვეულწილად დამოუკიდებელ სფეროს/მოვლენას რომელთა კავშირ–ურთიერთობის და გადაკვეთის წერტილების დადგენა ამ თემის ერთ–ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს – ვფიქრობ, რომ ყველაზე ოპტიმალური და მისაღები მეთოდი იქნება შედარების მეთოდი. ეს გულისხმობს, რომ თითოეული ამ ცნების განსაზღვრის, ტიპოლოგიის თუ საზრვრების დადგენის დროს გამოყენებული იქნება გარკვეული ტიპის შედარებები ანალოგიები იმისათვის, რომ დადგინდეს მათ შორის არსებული განსხვავებანი და მსგავსებები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ შედარება მოხდება სხვადასხვა ტიპის ნაციონალიზმის უსახრთხოების სისტემაზე გავლენის ცალკეულ შემთხვევებს შორის.

თემის ძირითად ნაწილში მოხდება ორი ცნების ნაციონალიზმისა და უსაფრთხოების სექტორის ურთიერთმიმართების უფრო დაწვრილებით განხილვა; მაგალითად ნაციონალიზმის რომელიმე კონკრეტული ტიპის თუ მისი, როგორც ნაციის იდეოლოგიის მიმართება უსაფრთხოების სისტემასთან. ასევე თემის ძირითად ნაწილში ჩემს მიერ წამოყენებული თეზისის მხარდასაჭერად მოყვანილი იქნება ცალკე თავი